

ავა ვუდი¹

თარგმანი: მარიამ ქველადის²

პოლონური პოპულიზმი და ევროპის საბჭო: პოლონეთის მიერ ვალდებულებების ვერ შესრულება და მისი შედეგები

მადლიერების დადასტურება

მსურს, გულითადი მადლობა გადავუხადო ნოტინგჰემის უნივერსიტეტს, რომელმაც სტატიაზე მუშაობის პროცესში სათანადო წყაროებზე მომცა წვდომა; ასევე, ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს სანგეტა შაჰს – ნაშრომის სრულყოფაში განუვლი დახმარებისთვის. განსაკუთრებული მადლობა, ასევე, ქერი ლონგჰარსტსა და ნინო ლაპიაშვილს, რომელთაც ხელი შემიწყო სტატიის გამოქვეყნებასა და მის კიდევ უფრო მეტად სრულყოფაში.

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს პოლონეთის სახელმწიფოსა და ევროპის საბჭოს შორის არსებულ ურთიერთობას. კერძოდ, სწავლობს კანონისა და სამართლიანობის პარტიის მოქმედებათა საკითხს და მათ გავლენას ევროპის საბჭოსთან ქვეყნის ურთიერთობაზე. ასევე, აქცენტი გაკეთებულია სამ ფუნდამენტურ ღირებულებაზე: ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა. სტატიაში მივალთ დასკვნამდე, რომ პოლონეთის ამჟამინდელი პოლიტიკა და კანონმდებლობა არ ემსახურება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

საკვანძო სიტყვები: პოლონეთი, საერთაშორისო ურთიერთობები, ადამიანის უფლებები

I. შესავალი

ბოლო წლებში პოლონეთში უნგრეთისა და იტალიის მსგავსად ხელშესახები გახდა პოპულიზმი, რამაც საფრთხე შეუქმნა მის მყიდვე ლიბერალურ დემოკრატიას. მსგავსი ავტოკრატია, როგორც პრობლემა ევროპაში ბოლო დროს აღმოცენდა, როცა 2000 წლიდან 2017 წლამდე პოპულისტური პარტიების რიცხვი ფაქტობრივად გაორმაგდა.³ პიპა ნორისი მსოფლიო მასშტაბის ამ მოძრაობას „თანამედროვე ავტორიტარულ პოპულიზმს“⁴ უწოდებს, რადგან პოპულისტური პარტიები, რომლებიც ძალაუფლებას იხვეჭენ, შემდეგ ავტორიტარული პოლიტიკის გატარების მეშვეობით ცდილობენ მის შენარჩუნებას. აღნიშნული ფენომენის დამადასტურებელი მაგალითების მოყვანა საკმაოდ რთულია, იქიდან გამომდინარე, რომ თავად პოპულიზმია რთულად განსაზღვრება. თუმცა, არსებობს ერთი მთავარი ასპექტი და ეს არის „მათი“ იდეა „ჩვენს“ წინააღმდეგ, ან უფრო კონკრეტულად – „ღარიბი ხალხი“ „კორუმპირებული ელიტის“ წინააღმდეგ.⁵ პოლონეთში ეს შემდეგი სახით გვხვდება: „ნამდვილი პოლონელები“ „უვარგისი პოლონელების“ წინააღმდეგ, რომლებიც უკულებულყოფენ ტრადიციულ ღირებულებებს.⁶

¹ E-mail: woodava06@gmail.com

² E-mail: helpdesk.ies@tsu.ge

³ Wojciech Sadurski, Poland's Constitutional Breakdown (Oxford Scholarship Online 2019)

⁴ Pippa Norris, 'It's Not Just Trump. Authoritarian Populism is Rising Across the West. Here's Why' The Washington Post (New York, 11 March 2016) < <https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2016/03/11/its-not-just-trump-authoritarian-populism-is-rising-across-the-west-heres-why/> > accessed 2 December 2020

⁵ Sadurski (n 1)

⁶ Joanna Fomina and Jacek Kucharczyk, 'The Specter Haunting Europe: Populism and Protest in Poland' (2016) 27(4) Journal of Democracy < <https://muse.jhu.edu/article/633752> > accessed 22 November 2020

პარტია, რომელიც პოლონეთს მსგავსი რიტორიკისკენ უბიძგებს არის კანონისა და სამართლიანობის პარტია, იგივე *Prawo i Sprawiedliwość* ('PiS'), რომელმაც 2015 წელს 37.5%-ით მოიგო არჩევნები და იქიდან მოყოლებული ინარჩუნებს ძალაუფლებას. პარტიის გამარჯვება მოულოდნელი იყო, რადგან არანაირი „მასშტაბური ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისი“⁷ არ უსწრებდა ამ ფაქტს წინ და ძალთა ამგვარი გადანაწილება ევროპისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, რაც აშკარა იყო არის ის რომ მმართველმა ცენტრისტულმა პარტიამ „სამოქალაქო პლათფორმა, იგივე *Platforma Obywatelska* ('PO') სათანადოდ ვერ შეაფასა ხალხის უკმაყოფილება საზოგადოებაში არსებული რიგი საკითხების მიმართ, როგორცაა მაგალითად ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, რითაც PiS-მა ისარგებლა და კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების შეთავაზებით გამოვიდა ასპარეზზე.

PiS-ს ჯილდოდ ხვდა შესაძლებლობა, დაეინიცირებინა სახელმწიფოს „ფუნდამენტური ტოტარი-ტარული ტრანსფორმაცია“, უმთავრესად, იმ სახელმწიფო ინსტიტუტების დემონტაჟის ხარჯზე, რომლებიც მთავრობის კონტროლისა და ბალანსის უზრუნველსაყოფად იყო შექმნილი.⁸ მარჩინ მატჩაკი აღნიშნავს, რომ PiS-მა წამოიწყო 'ხანგრძლივი და უპრეცედენტო შეტევა ხელისუფლების დანაწილებისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ' და დაარწმუნა ხალხი, რომ საჭირო იყო მათი ვალდებულებების გადაფასება კანონის უზენაესობის მიმართ.⁹ აღნიშნული კი, კლასიკური ავტოკრატიული ნაბიჯია და იმეორებს უნგრეთის მიერ შეთხზულ ისტორიას. გაბორ ჰალმაი აღნიშნავს, რომ მთავრობებზე კონტროლისა და ბალანსის მოხსნა, ფუნდამენტური უფლებების გარანტიების გაუქმება და სამართლიანი არჩევნების არ არსებობა ვიქტორ ორბანის მთავრობის სვლა იყო, რომელიც ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურებოდა.¹⁰ PiS-მაც ზუსტად ანალოგიური რეფორმები გაატარა საკუთარი გავლენების დასამყარებლად. მაგალითისთვის, ისინი გამუდმებით აფიშირებდნენ, რომ არ იზიარებდნენ ევროპის საბჭოს ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორცაა კანონის უზენაესობა, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, მიუხედავად ამ ორგანიზაციის წევრობისა 1991 წლიდან მოყოლებული. სამაგიეროდ, მათ საკუთარი ღირებულებებისა და პოლიტიკის გატარება დაიწყეს, რომელიც არსებითად სანინააღმდეგო იყო ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისა.

ნაშრომი იკვლევს რამდენად იზიარებს პოლონეთი, როგორც სახელმწიფო, ევროპის საბჭოს ძირითად ღირებულებებს. ანალიზის შედეგად დავინახავთ, რომ პოლონეთი ყოველმხრივ არღვევს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, საფრთხეს უქმნის ქვეყანაში ადეკვატური დაცვის განხორციელებას და ხელს უწყობს პოპულისტური PiS-ის პარტიის რეფორმების წარმატებით განხორციელებას. პოპულიზმთან პარალელის გავლება საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ რეფორმების მიზეზები და ის, თუ როგორ ახერხებს PiS მათ წარმატებით განხორციელებას. ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებული იქნება ის ფაქტი, რომ PiS-ის რეფორმებმა განაპირობა პოლონეთის სახელმწიფოს მხოლოდ ფორმალური წევრობა ევროპის საბჭოში და გასაკვირი არ იქნება, თუ მომავალში დღის წესრიგში დადგება პოლონეთის ევროპის საბჭოსა და დემოკრატიულ სახელმწიფოთა გაერთიანებიდან გაძევების შესახებ საკითხი.

PiS-ის განზრახვა, რომ გადაეხვიათ ევროპის საბჭოს მიერ განსაზღვრული გზიდან ნათელი გახდა 2020 წლის ივლისში, როდესაც განაცხადეს, რომ პოლონეთი უნდა გამოეყოს სტამბულის კონვენციის (ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ). კონვენციის მიზანია „დაიცვას ქალები ძალადობის ყველა ფორმისგან“, ისევე, როგორც ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას და სხვა.¹¹ PiS-ის განცხადებით კონვენცია საფრთხეს უქმნიდა ტრადიციულ ოჯახებსა და მათ ღირებულებებს და, სწორედ, ამიტომ სურდათ მისი გაუქმება.¹² ეს ზუსტად ის ხრიკია, რომელსაც მთავრობა მიმართავს მის მიერ განხორციელებული ქმედებების გასასამართლებლად და ეფექტურია, რადგან მოსახლეობის იმ

⁷ Sadurski (n 1)

⁸ ibid

⁹ Marcin Matczak, 'Poland's Rule of Law Crisis: Some Thoughts' (2019) 11 Hague Journal on the Rule of Law < <https://link.springer.com/article/10.1007/s40803-019-00117-y> accessed 22 November 2020

¹⁰ Gabor Halmai and Reconnect Europe, 'Democratic Backsliding in the United States and Europe: Causes, Consequences, and Prospects' Webinar (12 May 2021)

¹¹ The Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence Against Women and Domestic Violence (adopted 11 May 2011 entered into force 1 August 2014) CETS No.210 (Istanbul Convention), article 1

¹² Marc Santora, 'Poland Considers Leaving Treaty on Domestic Violence, Spurring Outcry' The Washington Post (New York, 27 July 2020) < <https://www.nytimes.com/2020/07/27/world/europe/poland-domestic-violence-treaty.html> accessed 2 December 2020

ნაწილისკენ არის მიმართული, რომელიც წინამორბედი მთავრობის მიერ იყო უგულვებელყოფილი. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ პოლონეთი მკაცრად კათოლიკური ქვეყანაა (მოსახლეობის დაახლ. 87% თავს მიიჩნევს რომანულ-კათოლიკედ)¹³ და PiS-ის რიტორიკაც ხშირად მათ მცნებებს ემთხვეოდა. მიუხედავად იმისა, რომ რიგითი ადამიანი არ რიყავს მათ, ვინც „ტრადიციული ოჯახის“ რეჟიმის მიღმა, PiS-მა ითავა მათი დაცვა დასავლური ლიბერალური რეფორმებისგან, რამაც ერთი ორად გაზარდა მათ მიმართ მხარდაჭერა. პოლონეთის იუსტიციის მინისტრმა ზბიგნიევი ზიობრომ სტამბულის კონვენციის გაუქმების მიზეზად დაასახელა, რომ ის იყო „ფემინისტური წარმონაქმნი, რომელიც ემსახურება გვი იდეოლოგიის გატარებას“.¹⁴ ზიობრომ შემოიტანა პოპულისტური იდეის „ისინი ჩვენ წინააღმდეგ“ ვერსია და ამით კონვენცია წარმოაჩინა საფრთხის შემცველად, რამაც კონვენციის მიმართ ხალხის უნდობლობა გამოიწვია. მისი განცხადებით კონვენციის შემქმნელები და მხარდამჭერები ლიბერალური დღის წესრიგის (გვი იდეოლოგია) გატარებას ცდილობდნენ, რაც რიგითი პოლონელის ცხოვრებას საფრთხის ქვეშ აყენებდა იმის გამო, რომ „სხვები“ უკარგავდნენ „ნამდვილ პოლონელებს“ ეროვნულ ღირებულებებს. ამ მაგალითში ნათლად ჩანს PiS-ის მონყვლად ჯგუფებზე ზემოქმედების ეფექტურობა მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში ისინი ასეთ რამეს მხარს არ დაუჭერდნენ. კონვენციის გაუქმების მიზეზი იყო PiS-ის პროტესტი მე-12 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც ადგენს, რომ კულტურა და რელიგია ვერ იქნება ძალადობრივი ქმედებების გამართლების საფუძველი.¹⁵ მე-14 მუხლში, ასევე, ნათქვამია, რომ ქალსა და მამაკაცს თანაბარი განათლების უფლება აქვთ და არ შეიძლება მათ მიენიჭოთ რაიმე სტერეოტიპული როლები.¹⁶ კათოლიკური ეკლესია საკმაოდ გავლენიანი ინსტიტუტია პოლონეთში, მათ შორის, მთავრობის წევრებზეც და მოსახლეობის 64% კათოლიციზმს მათი ეროვნული იდენტობის მთავარ კომპონენტად თვლის.¹⁷ როგორც ასეთი, კათოლიკური ღირებულებები ღრმად დამკვიდრებულია პოლონეთში, ხოლო PiS ამ „შეზღუდვებს“ მიუღებლად წარმოაჩენდა და მთელი კონვენციის გაუქმების ეფექტურ მექანიზმად იყენებდა, რათა ქალთა უფლებების დაცვის შემცირების ფონზე მოსახლეობისთვის სრულიად სხვა სურათი დაეხატათ.

PiS-ი აგრძელებდა განცხადებების გაკეთებას და ამტკიცებდა, რომ თავდაუზოგავად შრომობდნენ ქალთა უფლებების დასაცავად და, შესაბამისად, კონვენციისადმი მათი მხარდაჭერა აზრს მოკლებული იყო. პარტიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მითითებული იყო, რომ შეიმუშავეს ძალადობის წინააღმდეგ კანონი და სურთ, განახორციელონ ისეთი რეფორმები, რომლებიც „არ იქნება გაჟღენთილი იდეოლოგიური და მორალური დებულებებით“.¹⁸ პოლონეთში პირველი კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ „PO – ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის აქტი“ ამოქმედდა 2005 წელს.¹⁹ აქტით შეიქმნა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მონიტორინგის კომიტეტი და შემოღებულ იქნა ზომები, რომ ბრალდებულს იძულებით დაეტოვებინა ის საერთო საცხოვრებელი, სადაც მსხვერპლთან ერთად ცხოვრობდა. რეფორმები გატარდა უკანასკნელ თვეებში; კერძოდ, ახალი კანონით შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე მოხდეს ბრალდებულის გამოსახლება, რაც უფრო სწრაფ მექანიზმს წარმოადგენს. ამასთან, პოლიციას მიენიჭა უფლებამოსილება, თავად შეაფასოს მსხვერპლის მიმართ არსებული საფრთხის სიმძიმე.²⁰ აღნიშნული დებულებების შემოღება, რა თქმა უნდა, სწორი და ეფექტური ნაბიჯია, თუმცა, არ არის ყოვლისმომცველი და ვერ ამართლებს კონვენციიდან გამოსვლას. პოლიციის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით პოლონეთში წელიწადში 250,000 ადამიანი ხდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი;²¹ ქალთა უფლებების დაცვის ცენტრის მონაცემე-

¹³ European Commission, 'Poland Population: Demographic Situation, Languages and Religions' (EURYDICE, 4 March 2021) <https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/population-demographic-situation-languages-and-religions-56_en> accessed 4 December 2020

¹⁴ Santora (n 10)

¹⁵ Istanbul Convention articles 12 and 13

¹⁶ ibid article 14

¹⁷ Kyriaki Topidi, 'Religious Freedom, National Identity, and the Polish Catholic Church: Converging Visions of Nation and God' (2019) 10 European Centre for Minority Issues <<https://www.mdpi.com/journal/religions>>

¹⁸ Law and Justice, 'The government carries out tasks aimed at preventing violence' (Law and Justice, 30 July 2020) <<http://pis.org.pl/aktualnosci/rzad-realizuje-zadania-majace-na-celu-zapobieganie-przemocy>> accessed 4 December 2020

¹⁹ The Act on Counteracting Domestic Violence 2005 (PL)

²⁰ Ministry of Justice, 'A groundbreaking law to protect victims of domestic violence in Poland' (Republic of Poland, 29 November 2020) <<https://www.gov.pl/web/justice/a-groundbreaking-law-to-protect-victims-of-domestic-violence-in-poland>> accessed 4 December 2020

²¹ Juliette Bretan, 'New domestic violence law in Poland to immediately remove perpetrators from the home' (Notes from

ბის მიხედვით კი, ეს რიცხვი გაცილებით მაღალია და 800,000-ს უტოლდება.²² აქედან გამომდინარე, ეს პრობლემა ვერ გადაიჭრება ისეთი რეფორმებით, რომლებიც პოლიციელთა მიერ სათანადო უფლებამოსილების გამოყენების გარანტიასაც კი არ უზრუნველყოფს ქალთა უფლებების ეფექტურად დასაცავად. ხოლო მის გარეშე ახალი რეფორმების ბოროტად გამოყენების შანსი იზრდება, რაც, თავის მხრივ, ცხადყოფს, რომ მთავრობის მიერ სანახევროდ ჩატარებული რეფორმები, ფაქტობრივად, კონვენციის მხარდამჭერთა თვალის ასახვევად იყო მოფიქრებული. ამას, ასევე, მოწმობს ის ფაქტიც, რომ PiS-მა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეამცირა დაფინანსება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დახმარებისთვის, რომელიც უნინ შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებში ირიცხებოდა, ხოლო ახლა კი კათოლიკურ ორგანიზაციებს ეგზავნება.²³ გარდა ამისა, ისინი ფემინისტურ მოძრაობებსა და იდეოლოგიებს მიიჩნევენ საშიშ „გენდერულ იდეოლოგიებად“ და იმდენად შორს წავიდნენ, რომ 2014 წელს ანტი-გენდერული იდეოლოგიის საპარლამენტო კომიტეტიც კი შექმნეს, რომელიც „ტრადიციულ ოჯახებს“ დაიცავდა.²⁴

ასეთი შემთხვევების სიას ემატება ქალთა უფლებების დაცვის მიმართ არსებული წარუმატებლობები და კონვენციიდან გასვლის გადაწყვეტილებაც მიუთითებს, რომ საერთოდ არ აინტერესებთ ამ მიმართულებებით განვითარება და არც რაიმე ვალდებულებებს კისრულობენ. კონვენციაზე უარის თქმა ძალზედ სერიოზული რისკია პოლონეთისთვის და როგორც ლიზა გრანსი განმარტავს „ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საკმაოდ ძლიერი იარაღის მოსპობას ნიშნავს“.²⁵ პოლონეთის მიერ კონვენციიდან გამოყოფის შესახებ გაკეთებულ განცხადებაზე ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ეს იყო „ძალზედ სამწუხარო ფაქტი და უკან გადადგმული ნაბიჯი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში“.²⁶ აღნიშნული, თავის მხრივ, მიუთითებს, თუ რამდენად სერიოზულია პოლონეთის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება და რამდენად ადარდებს ევროპის საბჭოს პოლონეთის ბედი. კონვენციიდან გასვლის შესახებ გადაწყვეტილება, ასევე, კარგი ინდიკატორია იმის, თუ როგორ უყურებს პოლონეთი მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს როგორც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა. ეს არის მთავრობის მიერ განხორციელებული უახლესი მოქმედება, რომელიც ნათლად დაგვანახებს PiS-ის დამოკიდებულებას ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმართ, მის შედეგებსა და გავლენებს ქვეყნის მოქალაქეებზე. მართალია, ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა, როცა პოლონეთი ღიად დაუპირისპირდა ევროპის საბჭოს ღირებულებებს, თუმცა, ამ მოვლენამ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ყურადღება მიიპყრო და ბევრი დააფიქრდა იმაზე, თუ რამდენად შორს შეტოპა პოლონეთმა.

II. პოლონეთის, როგორც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნის ვალდებულებები

ევროპის საბჭო არის 47 წევრი სახელმწიფოსგან შემდგარი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაცია და ემსახურება მისი ფუნდამენტური ღირებულებების გავრცელებას ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მიმართულებით. პოლონეთი ევროპის საბჭოს 1991 წლის 26 ნოემბერს შეუერთდა 25-ე ქვეყნად, რაც, თავის მხრივ, ავალდებულებს მას დაიცვას ორგანიზაციის მთავარი ღირებულებები, როგორც ერთ-ერთმა წევრმა სახელმწიფომ. ღირებულებები ასახულია ევროპის საბჭოს დებულებაში; კერძოდ, მე-3 მუხლის თანახმად „წევრი სახელმწიფოები აღიარებენ კანონის უზენაესობას... და თანხმდებიან ერთობლივ ეფექტურ თანამშრომლობაზე ამ ღირებულებების დასამკვიდრებლად“.²⁷ დებულების მე-7 და მე-8 მუხლების მიხედვით, თუ წევრი სახე-

Poland, 4 May 2020) <<https://notesfrompoland.com/2020/05/04/new-domestic-violence-law-in-poland-to-immediately-remove-perpetrators-from-the-home/>> accessed 4 December 2020

²² Santora (no 10)

²³ Anna Gwiazda, 'Right-wing populism and feminist politics: The case of Law and Justice in Poland' (2020) 1(16) International Political Science Review <<https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0192512120948917>> accessed 23 November 2020

²⁴ Katarzyna Wojnicka, 'Masculist Groups in Poland: Aids of Mainstream Antifeminism' (2016) 5(2) International J for Crime, Justice, and Social Democracy < <https://www.crimejusticejournal.com/article/view/802> > accessed 22 November 2020

²⁵ Lisa Grans, 'The Istanbul Convention and the Positive Obligation to Prevent Violence' (2018) 18(1) Human Rights Law Review < <https://academic.oup.com/hrlr/article/18/1/133/4857380?login=true>> accessed 4 December 2020

²⁶ Council of Europe, 'Poland should not withdraw from the Istanbul Convention, says Secretary General' (Newsroom, 26 July 2020) <<https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/-/poland-should-not-withdraw-from-the-istanbul-convention-says-secretary-general>> accessed 22 November 2020

²⁷ Statute of the Council of Europe (adopted 1949) CETS No.001, article 3

ლმნიფო უხეშად არღვევს მე-3 მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებებს, მათი წარმომადგენლობის უფლება ორგანიზაციაშია შესაძლოა გაუქმდეს²⁸, ისევე, როგორც, თავად ორგანიზაციის წევრობა.²⁹ ეს დისციპლინური პასუხისმგებლობები პოლონეთის წინააღმდეგ ჯერ არ ამოქმედებულა, თუმცა, ვალდებულებების დარღვევის ფაქტის დადასტურებისთანავე, შესაძლებელია, მომავალში პოლონეთის წინააღმდეგ მოხდეს მათი გამოყენება.

პოლონეთის მიერ ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრი რიგი ვალდებულებების დადგენა, ასევე, შესაძლებელია ევროპის საბჭოსთან ხელმოწერილი და რატიფიცირებული სხვადასხვა ხელშეკრულებით. პოლონეთი მიერთებულია ევროპის საბჭოს 90-ზე მეტ კონვენციას. ამ სიაშია ევროპის საბჭოს სადამფუძნებლო – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR). კონვენციას ხელი პირველად 1950 წელს მოეწერა და მას შემდეგ ევროპის საბჭოს ყოველი ახალი წევრი სახელმწიფო ვალდებულია, შეუერთდეს მას. კონვენცია ადგენს ადამიანის ძირითად უფლებებს, რომელთა დაცვის ვალდებულება ეკისრება ყველა წევრ სახელმწიფოს და იგი იყო პირველი სამართლებრივი აქტი, რომელმაც საფუძველი დაუდო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით განსაზღვრული ვალდებულებების განხორციელებას.³⁰ პოლონეთის მიერ კონვენციის ხელმოწერა და რატიფიცირება ცხადყოფს მის მზაობას, დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და, ამასთან, მბოჭავი ინსტრუმენტია ევროპის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის (ECtHR). მომდევნო თავში განხილული იქნება რამდენად ეფექტურად ასრულებს პოლონეთი ევროპის საბჭოს დებულებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სხვა აქტებით განსაზღვრულ ძირითად ვალდებულებებს.

III. კანონის უზენაესობა, სასამართლო სისტემა და დემოკრატია

ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებებიდან, რომელსაც PiS ხშირად არღვევს არის კანონის უზენაესობა, რომელიც ორგანიზაციის ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს. ამ ღირებულების არსმა ბევრში გამოიწვია დაბნეულობა, რის გამოც 2007 წლის ვენეციის კომისიამ ევროპის საბჭოს საპარლამენტო კომიტეტს სთხოვა, განესაზღვრა კანონის უზენაესობის დეფინიცია და შეექმნა მოვალეობებისა და კრიტერიუმების ჩარჩო დოკუმენტი, რომლითაც დაწესდებოდა რიგი ვალდებულებები.³¹ როგორც კომისიამ დაადგინა „კანონის უზენაესობის ძირითად ასპექტებზე კონსენსუსი შედგა... რომელიც მოიცავდა კანონიერებას, კანონის სიზუტეს, თვითნებობის აკრძალვას, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას, ადამიანის უფლებათა პატივისცემას, დისკრიმინაციის აკრძალვასა და კანონის წინაშე თანასწორობას“.³² იმის დასადგენად, თუ რამდენად ასრულებენ სახელმწიფოები მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, კომისიამ შეიმუშავა „კანონის უზენაესობის ჩექლისტი“. შესაბამისად, აღნიშნული ჩექლისტი შესაძლებელია, გამოვიყენოთ პოლონეთის მიერ ამ მიმართულებით ნაკისრი ვალდებულებების დასადგენად. ჩექლისტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილებია E ნაწილი – მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა და A ნაწილი – კანონიერება. E ნაწილი ავალდებულებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ პოლიტიკური ზეგავლენებისგან, კერძოდ, აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა.³³ A ნაწილის მიხედვით კი სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან და არ დაარღვიონ კანონის უზენაესობის პრინციპი.³⁴ ამ ნაწილებზე დაყრდნობით შეგვიძლია, გავაანალიზოთ მთავრობის ქმედებები და დავადგინოთ შეესაბამება თუ არა ისინი ევროპის საბჭოს მიერ დადგენილ კანონის უზენაესობას.

მთავრობის მხრიდან სასამართლოს დამოუკიდებლობის სამართლებრივი რეფორმის გზით შეცვლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მცდელობა იყო 2017 წელს, როდესაც კანონპროექტი მი-

²⁸ *ibid* article 8

²⁹ *ibid* article 7

³⁰ Council of Europe ‘70 years of the European Convention on Human Rights’ (European Court of Human Rights) <<https://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=events/70yearsConvention&c=>> accessed 5 January 2021

³¹ Parliamentary Assembly of the Council of Europe (Committee on Legal Affairs and Human Rights), ‘Venice Commission’s ‘Rule of Law Checklist’ Report (17 July 2017) Doc. 14387, section A(2)

³² European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), ‘Rule of Law Checklist’ (18 March 2016) CDL-AD(2016)007rev

³³ *ibid* para 74

³⁴ *ibid* para 44

იღეს, რომლითაც შეამცირეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების საპენსიო ასაკი მამაკაცებისთვის 67-დან 65 წლამდე, ხოლო ქალბატონებისთვის 67-დან 60 წლამდე.³⁵ ეს, თავის მხრივ, დისკრიმინაციული იყო არა მხოლოდ გენდერული თვალსაზრისით, არამედ საფრთხეს უქმნიდა კანონის უზენაესობას, რამდენადაც მმართველი პარტიისთვის შეიქმნა მექანიზმი იმ მოსამართლეების გასაცხრილად, რომლებიც მხარს არ უჭერდნენ მათ პოლიტიკას. პრეზიდენტს შეუნარჩუნდა უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებისამებრ 5 წლამდე გაეგრძელებინა მოსამართლის საქმიანობის ვადა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური გავლენა დაწესდა მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადებზე. აღნიშნული კი, წინააღმდეგობაში მოდის E(1)(a) პუნქტთან, რომელიც აწესებს, რომ სასამართლო ხელისუფლება „არ უნდა ექვემდებარებოდეს პოლიტიკურ გავლენასა და მანიპულაციებს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან“.³⁶ სასამართლო სისტემის ეროვნულ საბჭოს («NCJ») უფლება მიეცა, მონაწილეობა მიეღო ამ პროცესში, მაგრამ ახალი რეფორმების მიხედვით მოსამართლეების საბჭოში შესვლის საკითხს არა მათი კოლეგები, არამედ სეიმი „Sejm“ (მთავრობის ქვედა პალატა) წყვეტდა. აღნიშნულმა კი, საბჭოს პოლიტიზირება გამოიწვია, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი დამოუკიდებლობისა და კანონის უზენაესობის დაცვის საკითხი. ეს ნიშნავდა, რომ აღარ არსებობდა დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა მოსამართლეთა უფლებამოსილებას და იქნებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენებისგან დამოუკიდებელი. ვენეციის კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, „დამოუკიდებელი სასამართლო საბჭოს“ არსებობა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსამართლეთა საქმიანობაზე.³⁷ ეს საშუალებას მისცემს მოსამართლეთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები იყოს მიუკერძოებელი, რაც უმნიშვნელოვანესია სასამართლო სისტემის პოლიტიზირების პროცესის შესაჩერებლად. PiS-ის მიერ NCJ-ში სეიმის ჩართვით გატარებული რეფორმები ეწინააღმდეგებოდა მიუკერძოებლობის ვალდებულებას, რამაც დემოკრატიის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ბერკეტის ჩამოშლა გამოიწვია. რეფორმებმა, ასევე, უარყოფითად იმოქმედა ჩექისტი A(2)(ii) ნაწილით განსაზღვრულ ხელისუფლების დანაწილების ვალდებულებაზე, რომელიც ადგენს, რომ კანონის უზენაესობის დასაცავად, აუცილებელია, უფლებამოსილებები მკაფიოდ იყოს გამიჯნული სახელისუფლებო ორგანოებს შორის.³⁸ აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევამ სასამართლო სისტემის საქმიანობაში კი, აშკარად დაარღვია ეს ვალდებულება და დაზინახავთ, რომ ხელისუფლების დანაწილების საკითხი PiS-ის რეფორმების უმთავარი ნაწილია, რადგან ამ გზით ახდენს მისი გავლენების დამყარებას სასამართლო სისტემის მრავალ სფეროზე.

რეფორმების შედეგად ასამდე მოსამართლე იძულებით პენსიაზე გაუშვეს, ხოლო PiS-ის მხარდამჭერმა მოსამართლეებმა უპრობლემოდ შეინარჩუნეს თანამდებობები. 2019 წელს მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს (‘CJEU’) რეფორმით დაზარალებული სამი მოსამართლის საქმე წარედგინა. CJEU-მ დაადგინა, რომ როდესაც სასამართლო (განსაკუთრებით პოლონეთის უზენაესი სასამართლო) ექცევა საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ, ან როდესაც ეჭვი ჩნდება მის მოუკერძოებლობასთან დაკავშირებით, იგი კარგავს დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის სტატუსს.³⁹ აღნიშნული პირდაპირ უქმნის საფრთხეს კანონის უზენაესობას, რის გამოსწორებასაც CJEU ცდილობდა ჩატარებული რეფორმების არაკანონიერად გამოცხადების გზით.⁴⁰ PiS-ს დაევალა თანამდებობებზე აღედგინა უკანონოდ გათავისუფლებული მოსამართლეები. აქ მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირი და ევროპის საბჭო, როგორც ინსტიტუტები ერთმანეთში არ აგვერიოს, რადგან ერთს გაცილებით მეტი იურიდიული ძალაუფლება აქვს თავის წევრებზე, ვიდრე მეორეს, და CJEU-ს გადაწყვეტილება არ ვრცელდება ევროპის საბჭოს არც ერთ ხელშეკრულებაზე. თუმცა, კანონის უზენაესობის იდეა ორივე ორგანიზაციისთვის ერთნაირი მნიშვნელობის მატარებელია და სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი ცხადყოფს, რომ ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით პოლონეთმა დაარღვია კანონის უზენაესობის დაცვის ვალდებულება, რაც გადახრაა ევროპის საბჭოს

³⁵ Alistair Walsh, ‘What are Poland’s controversial judicial reforms?’ (Dw.com, 5 November 2019) <<https://www.dw.com/en/what-are-polands-controversial-judicial-reforms/a-51121696>> accessed 5 January 2021

³⁶ Venice Commission (no 29) para 74

³⁷ Venice Commission (no 29) para 81

³⁸ *ibid.* para 45

³⁹ Joined Cases C585/18 A.K. v Krajowa Rada Sądownictwa and C624/18 and C625/18 CP and DO v Są Najwyższy [2019] C- 27/6, Opinion of Advocate General Tanchev, para 171

⁴⁰ *ibid.* para 157

ეკვივალენტური სახელმძღვანელო პრინციპებიდან და წარმოადგენს მტკიცებულებას ევროპის საბჭოში არსებული მსგავსი სახელმძღვანელო სტანდარტების დარღვევის ფაქტის დასადასტურებლად.

CJEU-ის გადაწყვეტილებას PiS საერთოდ არ შეუშინებია და 2019 წელს სრულიად ახალი სასამართლო რეფორმა გაატარა. ამ რეფორმების ერთ-ერთი შედეგი იყო ის, რომ მთავრობას მიეცა უფლებამოსილება, გამოეძიებინა მოსამართლეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება და, შესაბამისად, გამოეყენებინა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები;⁴¹ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები შესაძლოა, დასჯილიყვნენ შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის გამოყენებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თუ მიიჩნევენ, რომ ის არ შეესაბამება კონსტიტუციას ან საერთაშორისო კანონს, და თუ უთანხმოება უკვე დადასტურებული არ ჰქონდა საკონსტიტუციო ტრიბუნალს (ასევე, ცნობილია, როგორც საკონსტიტუციო სასამართლო). კანონპროექტის მიხედვით აღნიშნულის უფლებამოსილება უზენაეს სასამართლოს ჩამოერთვა და სრულად საკონსტიტუციო სასამართლოს მიენიჭა. ამ მოვლენას ადგილი არ ექნებოდა ტრიბუნალი რომ პოლიტიკური გავლენის ქვეშ არ ყოფილიყო მოქცეული. PiS-ის პარტიამ ტრიბუნალის მოსამართლე წევრების აპოლიტიკურად არჩევის წესი ორჯერ დაარღვია. პირველი იყო 2015 წლის დეკემბერის მოსამართლეთა სკანდალი, როდესაც პრეზიდენტმა Duda-მ უარი თქვა საკონსტიტუციო სასამართლოში ('სასამართლო' ან 'ტრიბუნალი') ხუთი მოსამართლის ფიცზე, რომლებიც წარდგენილი იყვნენ 2015 წლის არჩევნებამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათ ნაცვლად წამოაყენა ორი მოსამართლის კანდიდატურა საკუთარი პარტიიდან. შემდეგ სეიმმა ცვლილება შეიტანა სასამართლოს შესახებ კანონში, რომლის მიხედვითაც მათ საშუალება ეძლეოდათ გაეუქმებინათ ძველი კანდიდატურები და დაესახელებინათ ახლები. სასამართლო ახალი კანდიდატების შერჩევის საკითხზე თავად იღებდა გადაწყვეტილებას, რომელთაგან ნაწილი მიიჩნია კანონიერად, ხოლო ნაწილი – უკანონოდ.⁴² ამ სამართლებრივ დრამას მოჰყვა პრემიერ მინისტრის მხრიდან სასამართლოს გადაწყვეტილებების ოფიციალურად გამოქვეყნებაზე უარის თქმა, რაზეც ვენეციის კომისიამ დაადგინა, რომ ახალი კანონები საფრთხეს უქმნიდა კანონის უზენაესობას.⁴³ იგივე სცენარი განმეორდა 2019 წელს, როდესაც სეიმის მიერ სასამართლოში დანიშნულ ორ ახალ მოსამართლეს აღმოაჩნდა წინარე პოლიტიკური კავშირები PiS-თან.⁴⁴ ამ ყველაფერმა კი გამოიწვია ის, რომ მანამდე დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ემსახურებოდა კანონის უზენაესობის დაცვას, შეიცვალა მოსამართლეთა დიდწილად პარტიული ჯგუფით, რომლებსაც უფლებამოსილება აქვთ, ზეგავლენა მოახდინონ კანონების მიღებაზე. სასამართლოს ფართო ძალაუფლების გამო ამ გადაწყვეტილებებმა გავლენა იქონია მთელ სასამართლო სისტემაზე; ყველა სასამართლოს მოსამართლე პასუხისმგებელია თავად ამ სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და, შესაბამისად, შეიძლება გახდნენ 'დაბეზლების' ან პოლიტიკური ზეწოლის მსხვერპლი.

ვენეციის კომისიის კანონის უზენაესობის ჩექლისტს რომ მივუბრუნდეთ, დავინახავთ იმ კონკრეტული ვალდებულებების ჩამონათვალს, რომელთა დარღვევის ფაქტებსაც აქვს ადგილი უშუალოდ ამ პროცესში. კონსტიტუციური მართლმსაჯულების ნაწილში (ნაწილი E(2)) კომისია ხაზს უსვამს ტრიბუნალისთვის ხელმისაწვდომობის აუცილებლობის საკითხს, რომელიც არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წევრებით, არამედ ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ცალკეული პირებისთვისაც სასამართლოების გზით.⁴⁵ ხოლო ამჟამად ეს მიდგომა ფაქტობრივად უგულვებელყოფილია, რადგანაც კანონის კონსტიტუციურობის განსაზღვრის დისკრეცია მხოლოდ ტრიბუნალს აქვს მინიჭებული, და მოსამართლეების მიმართ, რომლებიც ასეთ კონსტიტუციურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ, შესაძლოა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები იქნეს გამოყენებული. კომისია დამატებით უთითებს, რომ მოსამართლეთა დანიშვნა არ უნდა ხდებოდეს პოლიტიკური თუ პირადი შეხედულებების გათვალისწინებით.⁴⁶ 2015 წელს წინა მთავრობის მიერ წარდგენილი კანდიდატების გაუქმება და 2019 წელს ტრიბუნალის წევრებად ყოფილი PiS დეპუტატების დანიშვნა არსებითად ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობის დაცვის პრინციპს. პრე-

⁴¹ Mariusz Jatoszewski, 'PiS' night-time attack on the independence of the courts in Poland and on the CJEU judgment. The new bill, point by point' (Rule of Law, 13 December 2019) <<https://ruleoflaw.pl/pis-night-time-attack-on-the-independence-of-the-courts-in-poland-and-on-the-cjeu-judgment-the-new-bill-point-by-point/>> accessed 10 January 2021

⁴² Committee on Legal Affairs and Human Rights (no 28) section B(4.1)

⁴³ Committee on Legal Affairs and Human Rights (no 28) section B(4.1)

⁴⁴ DW, 'Poland elects controversial judges to constitutional court' (Dw.com, 22 November 2019) <<https://p.dw.com/p/3TZRL>> accessed 5 January 2021

⁴⁵ Venice Commission (no 29) para 99

⁴⁶ ibid para 79

მიერ-მინისტრის ჩარევა სასამართლო სისტემაში წარმოადგენს A(2) პუნქტის დარღვევას, რამდენადაც აღნიშნული პუნქტის მიხედვით განსაზღვრულია მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიწვებული უფლებამოსილებების ფარგლები, კანონის პატივისცემის ვალდებულება და ხელისუფლების დანაწილების აუცილებლობა.⁴⁷ აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენამ უხილავი ძაფი გააჩინა ამ ორგანოებს შორის და PiS-ის ჩარევა მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მათთვის მიწვებული უფლებამოსილების გადამეტება იყო. ვენეციის კომისიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოაქვეყნა დასკვნა, სადაც ნათქვამი იყო რომ მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედებები საფრთხეს უქმნის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას და ტრიბუნალის გადაწყვეტილებებზე კონტროლის დამყარების აშკარა მცდელობას წარმოადგენდა.⁴⁸

კანონპროექტთან დაკავშირებულ საკითხებს ემატებოდა, ასევე, ახალი დანაშაულისთვის დაწესებული მკაცრი სანქციებიც, რომლებიც გულისხმობს მოსამართლის სხვა თანამდებობაზე გამწვანებას, ან საერთოდ პროფესიული საქმიანობის უფლების ჩამორთმევას მისი დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში. ვენეციის კომისია ამ ტიპის სანქციების შესახებ ამბობს, რომ „მოსამართლეთა შეუთანხმებელი გადაყვანა სხვა სასამართლოში“ მისი ლეგიტიმურობის მიუხედავად, „შესაძლოა, ასევე, გამოყენებულ იქნეს როგორც პოლიტიკურად მოტივირებული ინსტრუმენტი“ და ამიტომ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ ადგილი აქვს კანონიერი ინსტიტუციური რეორგანიზაციის შემთხვევას.⁴⁹ სანქციები, რომლებსაც ‘კანონი და მართლმსაჯულება’ აწესებს, არ ემსახურება რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და განკუთვნილია აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენას დაქვემდებარებული ტრიბუნალის მიერ ცალკეულ შერჩევით შემთხვევებში გამოყენებისთვის. აღნიშნული კი, კიდევ ერთი გარემოებაა, რომელიც საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას. დანაშაული და მისთვის განსაზღვრული სასჯელი გამიზნულია სასამართლო სისტემის ცენტრისა და კონტროლისთვის, რადგან მოსამართლეები გადაწყვეტილებების მიღებისას კანონის საფუძველზე კი აღარ მოქმედებენ, არამედ წინასწარ უნდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს მათ მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მათ ცხოვრებასა და კარიერაზე. კანონის უზენაესობა ვერანაირად ვერ იქნება გარანტირებული, თუ მის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს შიშისა და პოლიტიკური ტერორის ქვეშ უწევთ მუშაობა.

2019 წლის კანონპროექტში განხორციელებული სხვა ცვლილებები მოიცავდა ახალი საგანგებო კონტროლისა და საზოგადოებრივ საქმეთა პალატის შექმნას, რომელსაც დაევალია მოსამართლეთა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა. კანონპროექტის მიხედვით ერთპიროვნულად მხოლოდ ამ პალატას ჰქონდა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული საჩივრების მიღებისა და განხილვის უფლებამოსილება. მან ჩაანაცვლა უზენაესი სასამართლოს ძველი პალატები და მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა სასამართლოს სხვა პალატებისთვის, მაგრამ არა პირიქით.⁵⁰ აღნიშნული კი, იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს მათი გადაწყვეტილებების კონტროლის მექანიზმი იმის დასაგენად გამომდინარეობს თუ არა ისინი კანონის უზენაესობის პრინციპიდან. ამ ინსტიტუტისთვის ამხელა ძალაუფლების მიწვებით იზრდება მისი ბოროტად გამოყენების რისკი, რასაც მთლიანად სასამართლო სისტემისთვის დამანგრეველი ეფექტი ექნება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პალატას უფლება არ აქვს იმსჯელოს მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შუამდგომლობაზე, როდესაც მათი დანიშვნა უკანონოდ მოხდა. ეს კი PiS-ის წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან ამ გზით თავიდან ირიდებს საკონსტიტუციო სასამართლოსა და NCJ-ში მის მიერ დანიშნული მოსამართლეებისადმი შედავების შემთხვევებს.

2019 წლის კანონპროექტი პოლონელ მოსამართლეებს, ასევე, ავალდებულებს განაცხადონ რომელ ორგანიზაციას წარმოადგენენ, რა პოლიტიკური კავშირები ჰქონდათ მოსამართლეებად გამწვანებამდე, რომელ საიტებზე აქვთ პირადი თუ პროფესიული ანგარიშები შექმნილი. ეს ყოველივე PiS-ის პარტიას საშუალებას აძლევს, დააკვირდეს ყველაფერს და იდენტიფიცირება მოახდინოს ნებისმიერი იმ პირის, რომელიც მათი რეჟიმის წინააღმდეგია.⁵¹ მთავრობამ იცის რომელი მოსამართლე აკრიტიკებს მათ პოლიტიკას და, შესაბამისად, შეუძლია იმოქმედოს მათ წინააღმდეგ. ამ ინფორმაცი-

⁴⁷ ibid para 45

⁴⁸ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), ‘Poland Opinion on the Act on the Constitutional Tribunal’ (14 October 2016) CDL-AD(2016)026

⁴⁹ Venice Commission, Rule of Law Checklist (no 29) para 80

⁵⁰ Jałoszewski (no 39)

⁵¹ Jałoszewski (no 39)

აზე წვდომა PiS-ს საშუალებას აძლევს, შეარყიოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მთავრობის გავლენის ქვეშ მყოფი სასამართლო პალატებისა და ტრიბუნალების მეშვეობით მოახდინოს მათი რეპრესირება. კანონის უზენაესობის ჩექლისტში განსაკუთრებულად არის გაზგანმული სასამართლო სისტემასა და მოსამართლეების ცხოვრებაზე პოლიტიკური გავლენების დაუშვებლობის შესახებ;⁵² ასე რომ, ეს ღონისძიება არის კიდევ ერთი დემონსტრირება იმისა, რომ მთავრობა შეგნებულად არღვევს ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს.

2019 წელს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი დუნია მიატოვიჩი სეიმის მოთხოვნით ეწვია პოლონეთს და მოხსენება მოამზადა პოლონეთის მიერ ევროპის საბჭოს ძირითადი ვალდებულებების შესრულების შესახებ კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. იგი თავის მოხსენებაში ვრცლად მიმოიხილავს პოლონეთის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხებს და ამ მიმართულებით განხორციელებულ ყველა რეფორმას, რომელიც სტატიაში უკვე განვიხილეთ.⁵³ კომისრის ვიზიტი შედგა PiS-ის დეპუტატების საკონსტიტუციო სასამართლოში დანიშვნამდე და 2019 წლის კანონპროექტის მიღებამდე რამდენიმე თვით ადრე. ამ მოვლენების გარეშეც კი, ანგარიშში წუხილია გამოთქმული საკონსტიტუციო ტრიბუნალში გადაგზავნილი საქმეების შემცირების გამო და რეკომენდაციას იძლევა, რომ ისინი უნდა იყვნენ მიუკერძოებლები.⁵⁴ მიატოვიჩის განცხადებით, რეფორმები მოსამართლეთა საპენსიო ასაკთან დაკავშირებით არღვევდა სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნებს და ადასტურებდა კანონის უზენაესობის ჩექლისტის შედეგების საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს. მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშში, ასევე, ყურადღებაა გამახვილებული ხელისუფლების ცილისმწამებლურ პოლიტიკაზე სასამართლო სისტემის მიმართ, რათა გაატარონ მათი დღის წესრიგით გათვალისწინებული რეფორმები, განსაკუთრებით, მთავრობის მიერ დაფინანსებული კამპანიების საშუალებით.⁵⁵ ეს ინფორმაცია ემყარება PiS-ის კანონის უზენაესობისადმი ერთგულების მიმართ არსებულ წინარე სკეპტიციზმს და წარმოადგენს „სხვების დემონიზირების“ კიდევ ერთ დემონსტრირებას, რათა გაატარონ ზუსტად ის რეფორმები, რომლებიც მათ სურთ. PiS-მა იმ ლიბერალური მოსამართლეების დევნა დაიწყო, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ტრადიციულ ღირებულებებს და მათ ავტორიტეტს.

2020 წლის იანვარში, როდესაც კომისარს უკვე ჰქონდა ინფორმაცია 2019 წლის კანონპროექტის შესახებ და ჯერ კიდევ საპარლამენტო პროცედურებს გადიოდა დასამტკიცებლად, წერილით მიმართა პოლონეთის სენატს გამოეყენებინა ვეტოს უფლება კანონპროექტის სეიმისთვის (*Sejm*) გადაგზავნამდე. ევროპის საბჭოს კომისარმა სენატს მოუწოდა, არ დაემტკიცებინა კანონპროექტი და განმარტავდა, რომ ცვლილებების ეფექტი „მიუღებელი იყო ევროპის საბჭოს სტანდარტებისთვის“ და გამოიწვევდა „აღმასრულებელი ხელისუფლების უხეშ ჩარევას პოლონეთის სასამართლო სისტემაში“.⁵⁶ მიუხედავად იმისა, რომ სენატმა კანონპროექტი არ დაამტკიცა, სეიმმა იგი მოგვიანებით მაინც მიიღო და ის ძალაშიც შევიდა. შესაბამისად, აღმოჩნდა, რომ პოლონეთის სასამართლო ხელისუფლება ფაქტობრივად დაექვემდებარა აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენებს, რითაც უგულებელყოფილი იქნა ევროპის საბჭოს რეკომენდაციები აღნიშნული შედეგის თავიდან ასაცილებლად.

2020 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მხარი დაუჭირა პოლონეთში მონიტორინგის მისიის მივლინებას. მონიტორინგის შედეგად, გამოქვეყნდა რეზოლუცია 2316 „პოლონეთში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების შესახებ“, რომლის ფარგლებში დემოკრატიის ხარისხისა და კანონის უზენაესობის შესამოწმებლად განისაზღვრა ორი სახის „ლაკმუსის ტესტი“. პირველ რიგში, სახელმწიფოს დაევალა ევროპის საბჭოს ნორმებისა და ღირებულებების შესაბამისი რეფორმების გატარება, რათა ხელი შეუწყოს სასამართლო სისტემის გაძლიერებასა და კანონის უზენაესობას „და არა პირიქით – მათ შესუსტებასა და ჩამოშლას“.⁵⁷ ასევე, სახელმწიფოს დაევალა, არ დაეშვა ისეთი რეფორმები, რომლებიც „სასამართლო სისტემას აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ აქცევს“ და უზრუნველყოს ხელისუფლების დანაწილება.⁵⁸ PiS-ის მმა-

⁵² Venice Commission, Rule of Law Checklist (no 29) para 74, 86

⁵³ Commissioner for Human Rights of the Council of Europe, 'Report Following Her Visit to Poland from 11 to 15 March 2019' (2019 Report) (28 June 2019) CommDH(2019)17

⁵⁴ Commissioner for Human Rights of the Council of Europe (no 51) para 10

⁵⁵ *ibid* 1

⁵⁶ Letter from Dunja Mijatović to Tomasz Grodzki (9 January 2020)

⁵⁷ Parliamentary Assembly of the Council of Europe, 'The Functioning of Democratic Institutions in Poland' (28 January 2020) Resolution 2316 para 2

⁵⁸ *ibid* para 3

რთველობაში მოქცეულმა პოლონეთმა, როგორც დავინახეთ, სრულიად საწინააღმდეგო ქმედებები განახორციელა და, რა თქმა უნდა, ასამბლეის ტესტი ვერ ჩააბარა. ანგარიშში მოკლედ არის შეჯამებული პოლონეთის მიერ გზიდან გადახვევის შემთხვევა და „სერიოზული შეშფოთებაა გამოხატული იმის გამო, რომ ეს რეფორმები მრავალ ასპექტში ეწინააღმდეგება ევროპულ ნორმებსა და სტანდარტებს. ისინი კუმულაციურად ძირს უთხრიან და აზარალებენ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და კანონის უზენაესობას პოლონეთში.⁵⁹

PiS-ის მიერ განხორციელებული ყველა რეფორმის შეფასებამ ცხადყო, თუ რამდენად ყოვლისმომცველი იყო მთავრობის თავდასხმა სასამართლო სისტემასა და კანონის უზენაესობაზე. სახელმწიფოს ავტორიტარული რეჟიმის შემსუბუქების გასაღები ხელისუფლების კონტროლისა და ბალანსის მოხსნაა. აქ უნგრეთთან პარალელი კიდევ ერთხელ შეგვიძლია გავავლოთ; როგორც გაბორ ჰალმაი აცხადებს, უნგრეთის მთავრობამ საკონსტიტუციო სასამართლო დააკომპლექტა მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი წევრებით, შეამცირა სასამართლოს უფლებამოსილებები და მოსამართლეთა საპენსიო ასაკი და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ სასამართლო სისტემა აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მოექცია.⁶⁰ ამ მხრივ ორბანის მთავრობა ძალზედ წარმატებული იყო ისევე, როგორც პრეზიდენტი დუდა, რომელიც ფაქტობრივად სულის ჩამდგმელი იყო მსგავსი რეფორმებისა. შედეგად, მივიღეთ ის, რომ ჩამოიშალა სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებსაც შეეძლოთ PiS-ის არაკონსტიტუციურ რეფორმებს წინ აღდგომოდნენ. ასევე, მსოფლიოსთვის ნათელი გახდა, რომ პოლონეთი არ უზრუნველყოფს ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას და საერთოდ არ ანაღვლებს ის ფაქტი, რომ მის მიერ გატარებული რეფორმები აშორებს სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და მათი ღირებულებებისგან.

2021 წლის აპრილიდან მთავრობამ მისი საქმიანობა კიდევ უფრო გააძლიერა; პოლონეთის ადამიანის უფლებათა ომბუდსმენს ადამ ბოდნარს უფლებამოსილების ვადა სამი თვედა ჰქონდა დარჩენილი ისე, რომ მისი შემცვლელის კანდიდატურა ხელისუფლებას არჩეული არ ჰყავდა. დაახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში *Sejm* და სენატი ვერ შეთანხმდნენ შემცვლელის კანდიდატურაზე, რადგან *Sejm*-ს PiS-ი აკონტროლებს, ხოლო სენატს კი – ოპოზიცია.⁶¹ როგორც წესი, ასეთ დროს კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ მოქმედი ომბუდსმენი რჩება თანამდებობაზე მანამ, სანამ არ მოხდება საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ ეს კანონი არაკონსტიტუციურად ცნო და, შესაბამისად, ბოდნარს მხოლოდ სამი თვის ვადა რჩებოდა.⁶² ბოდნარი, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი პოლონეთში, PiS-ს ხელს უშლიდა სახელმწიფოში არსებული ფუნდამენტური უფლებების გარანტიების ჩამოშლაში. PiS-ს ამ რეფორმების ბოლომდე გატანა შეეძლო, რადგან წარმატებით დაიქვემდებარა სასამართლო და მხოლოდ სწორი ბანრების მოქაჩვალა რჩებოდა. ამან კიდევ ერთხელ აღაშფოთა საერთაშორისო საზოგადოება⁶³ და დაანახა, რომ ხელისუფლება არ გაჩერდება კანონის უზენაესობაზე შეტევით და მათი შემდეგი სამიზნე ადამიანის უფლებებია.

IV. ადამიანის უფლებები: ქალთა უფლებები და აბორტი

აღნიშნული თავი მიმოიხილავს გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ახლა დგას მთავრობა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ ევროპის საბჭოს ძირითადი ღირებულებების უგულვებლყოფამ შედეგად მოიტანა PiS-ის პოპულისტური მმართველობა. ‘ჩვენ’ ‘მათ’ წინააღმდეგ რიტორიკა გარკვეულ ჯგუფებს მიზანმიმართულად უბიძგებს, ჩაერიონ პოლონეთის წინაშე მდგარი საფრთხეების აღმოფხვრაში. მაგალითად, PiS-მა გამოამჟღავნა ძლიერი ანტიმიგრანტული რიტორიკა და 2019 წელს სახელმძღვანელო პოლიტიკის პროექტის გაჟონვამ ცხადყო მათი სწრაფ-

⁵⁹ *ibid* para 4

⁶⁰ Halmai (no 8)

⁶¹ Eszter Zalan, ‘Polish Court Pushes out Critical Ombudsman’ EU Observer (Brussels, 16 April 2021) <<https://euobserver.com/democracy/151564>> accessed 10 May 2021

⁶² Wyrok [judgment] TK [Constitutional Tribunal] z [of] April. 15, 2021, K 20/20

⁶³ Dunja Mijatovic (@ComissionerHR), ‘Today’s Constitutional Court ruling creates a worrying gap in the functioning of the Ombudsman institution in-btw terms and the protection of #humanrights in #Poland. A successor must urgently be selected fully respecting the Polish Constitution and law & international standards.’ (15 April 2021) <<https://twitter.com/ComissionerHR/status/1382604164006604808>> accessed 10 May 2021

ვა პოლონური კულტურის, რელიგიისა და ღირებულებების ასიმილაციისკენ, რისთვისაც მიგრანტებს მოუწოდებენ.⁶⁴ მათ, ასევე, ხელი შეუწყეს LGBTQ „თავისუფალი ზონების“ გაჩენას, რაგორადაც ასმა ქალაქმა გამოაცხადა თავი და, ასევე, მიმართავდნენ რიტორიკას, რომ LGBT უფლებები „უფრო მეტად დამლუპველია ვიდრე კომუნიზმი“.⁶⁵ პოპულისტური მიდგომების დემონსტრირებას შედეგად მოყვება ადამიანთა უფლებებისთვის საფრთხის შექმნა მრავალი მიმართულებით და კონკრეტულად ეს შემთხვევა განხილული იქნება პოლონეთის მიერ მიღებული აბორტის შესახებ კანონის მაგალითზე, რომელიც სხვა მსგავს რეფორმებთან ერთად საფრთხეს უქმნის პოლონელ ქალთა უფლებებს. რეფორმები ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ევროპის საბჭოს ძირითად ღირებულებებს, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და თავად პოლონეთის კონსტიტუციას.

ბოლო დროინდელი ბრძოლა ქალთა უფლებების შეზღუდვის წინააღმდეგ და საკუთარი სხეულის თავისუფლად განკარგვის მოთხოვნა მოქმედი კონსერვატორული კანონების კიდევ უფრო მეტად გამკაცრებით დასრულდა. აბორტის შესახებ კანონი 1993 წელს „ოჯახური დაგეგმვის, ემბრიონის დაცვისა და აბორტის ნებართვის განმსაზღვრელი“ აქტის ფარგლებში შემუშავდა, რომელიც საკამათო რეფორმის თემა გახდა 2022 წელს. 1993 წლის აქტის მე-4(a) მუხლი 3 საგამონაკლისო შემთხვევას ითვალისწინებდა ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტისთვის: 1. როდესაც დედის სიცოცხლე საფრთხეშია, 2. როდესაც ორსულობა დადგა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, 3. როდესაც ნაყოფის სერიოზული დაზიანების დიდი რისკი არსებობს.⁶⁶ დუნია მიატოვჩა 2019 წელს გაკეთებულ მოხსენებაში ისაუბრა იმაზე, რომ ევროპის საბჭოს ადრინდელი კომისრები გმობდნენ აბორტის შესახებ კანონებს, რადგან საფრთხეს უქმნიდა ქალთა სიცოცხლეს და გააკრიტიკა, რომ მას შემდეგ არანაირი პროგრესი არ ჰქონიათ ამ მიმართულებით, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ კანონად რჩება ევროპაში.⁶⁷

კანონების გამკაცრება მოხდა პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის მიერ 2015 წელს K 12/14 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით, რომელმაც არაკონსტიტუციურად მიიჩნია ნორმა, რომლის მიხედვითაც ექიმი ვალდებულია, მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში მიმართოს აბორტს და დაეხმაროს პაციენტს ალტერნატიული გამოსავლის პოვნაში, თუ ისინი აბორტის ჩატარებაზე თავად აცხადებდნენ უარს რელიგიური მოტივით.⁶⁸ უნინ ექიმებს შეეძლოთ, უარი ეთქვით აბორტის ჩატარებაზე 1997 წლის ექიმისა და სტომატოლოგის აქტის ‘ცნობიერი პუნქტის’ გამოყენებით, თუმცა, მაინც ვალდებული იყვნენ გადაემისამართებინათ ქალები ისეთ დაწესებულებაში, რომელიც მათ მოთხოვნას შეასრულებდა. ეს ნორმა ემსახურებოდა რელიგიური თავისუფლების დაცვას, რადგან პოლონეთის კათოლიკური ეკლესია აბორტის წინააღმდეგია, მაგრამ ამავდროულად ქალთა უფლებების დასაცავად სხვა შესაძლებლობებს ითვალისწინებდა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ ეს ბალანსი ერთიანად მოსპო. საკუთარ მოხსენებაში მიატოვიჩი მიუთითებს კვლევაზე, რომლის მიხედვითაც 2019 წლის მონაცემებით პოლონეთის საავადმყოფოების მხოლოდ 10% აკეთებს აბორტს⁶⁹ და ქალებისთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელია დამოუკიდებლად ალტერნატიული საშუალებების მოძიება. ეს დიდწილად განპირობებულია იმით, რომ 2014 წლის მონაცემებით 4000 ექიმმა მიიღო „რწმენის დეკლარაცია“, რაც ადასტურებს მათ მისწრაფებას ‘ცნობიერის პუნქტის’ გამოყენებისკენ.⁷⁰ მოკლედ რომ ვთქვათ, 1993 წლიდან აბორტის კანონები ძალიან მკაცრია, ექიმებს შეუძლიათ, თავიდან აირიდინ მისი გაკეთება მაშინაც კი, როდესაც სახეზეა მისი ჩატარების კანონიერება და არანაირი ვალდებულება არ აქვთ დაეხმარონ ქალებს ალტერნატიული საშუალების პოვნაში.

2020 წელს ევროპის საბჭოს კომისარმა გამოსცა მე-9 წესის დადგენილება, რომელიც იკვლევდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ადრე წარდგენილ სამ საქმეს. თითოეული საქმე შეეხებოდა 1993 წლის კანონის სამი საგამონაკლისო შემთხვევიდან ერთ-ერთს: ტისიაჩი (*Tysiáć*) პოდონეთის წინააღმდეგ ეხებოდა შემთხვევას, როდესაც საფრთხე-

⁶⁴ Konrad Pedziwiatr, ‘The new Polish migration policy – false start’ (Open Democracy, 19 August 2019) < <https://www.opendemocracy.net/en/can-europe-make-it/the-new-polish-migration-policy-false-start/> > accessed January 20

⁶⁵ Lucy Ash, ‘Inside Poland’s LGBT-free zones’ (BBC News, 21 September 2020) <<https://www.bbc.co.uk/news/stories-54191344>> accessed 20 January 2021

⁶⁶ Ustawa z dnia 7 stycznia 1993 r. o planowaniu rodziny, ochronie płodu ludzkiego i warunkach dopuszczalności przerywania ciąży. [The Family Planning Human Embryo Protection and Conditions of Permissibility of Abortion Act of 1993] (Dz.U. 1993 Nr 17 Poz. 78) article 4(a)

⁶⁷ Commissioner for Human Rights of the Council of Europe (no 51) para 64-65

⁶⁸ Wyrok [judgment] TK [Constitutional Tribunal] z [of] October. 7, 2015, K 12/14 (OTK ZU 9A/2015)

⁶⁹ Commissioner for Human Rights of the Council of Europe (no 51) para 69

⁷⁰ *ibid* para 70

ში იყო ორსული ქალის სიცოცხე; რ.რ. (R. R.) პოლონეთის წინააღმდეგ ეხებოდა ნაყოფის მალფორმაციას; ხოლო პ. და ს. (P. & S.) პოლონეთის წინააღმდეგ – იმ შემთხვევაზე, როდესაც სახეზე იყო გაუპატიურების შედეგად დამდგარი ორსულობის ფაქტი.⁷¹ სასამართლომ სამივე შემთხვევაში დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა ბოლო ორ საქმეზე⁷² და მიუთითებდა, რომ ადგილი ჰქონდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას, მათ შორის, ორ შემთხვევაში არაადამიანურ მოპყრობას.⁷³ ამ გადაწყვეტილებებმა დაადასტურა, რომ პოლონეთის კანონი აბორტის შესახებ მისი მბოჭავი ბუნების გამო უხეშად არღვევდა ადამიანის უფლებებს და არ ქმნიდა დაცვის გარანტიებს, რისი თანამონაწილეც, ფაქტობრივად, თავად სახელმწიფო იყო. ევროპის საბჭოს კომისრის განცხადებით, აღნიშნულმა სამმა შემთხვევამ დაგვანახა ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობა და აუცილებელია, წევრი სახელმწიფოები გულისყურით ეკიდებოდნენ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს და პატივს სცემდნენ ქალთა უფლებებს.⁷⁴

პ. და ს.-ის (P & S) საქმე პოლონეთის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ აბორტის ხელმისაწვდომობისა და ცნობიერი წინააღმდეგობის გამოყენების შეზღუდვის საკანონმდებლო ბაზის შექმნის აუცილებლობა გააჩინა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ იმ დროინდელი პოლონური კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არსებობდა ვალდებულება, რომ პაციენტებისთვის მიეწოდებინათ აბორტის გაკეთების ალტერნატიული გზები, თუ ექიმი კანონიერი საფუძვლით უარს ამბობდა მასზე და, შესაბამისად, აღნიშნული უფლებები ორივე მხარისთვის უნდა ყოფილიყო გარანტირებული. სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, „სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მისი ჯანდაცვის სისტემა ისე, რომ ექიმების მიერ აბორტის ჩატარებაზე კანონიერი საფუძვლით უარის თქმამ“ არ შეზღუდოს პაციენტი, მიიღოს მომსახურება მაშინ, „როცა ამის უფლება კანონით აქვს გარანტირებული.“⁷⁵ ეს იყო უმნიშვნელოვანესი განჩინება, რომელიც ეფუძნებოდა საქმეებს: გრიმარკი (Grimmark) შვედეთის წინააღმდეგ⁷⁶ და შტინი (Steen) შვედეთის წინააღმდეგ.⁷⁷ ამ საქმეებზე ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ შვედეთის მიერ კანონიერად აბორტის ჩატარებაზე უარის თქმის აკრძალვა არ წარმოადგენდა კონვენციის მე-9 მუხლის (რელიგიის თავისუფლება) დარღვევას. საჩივრები წარდგენილი იყო ორი ბებიქალის მიერ, რომლებსაც სურდათ ამ უფლების აღიარება, რადგან შვედეთის კანონმდებლობის მიხედვით იგი გაუქმებული იყო. თუმცა, საქმეებზე დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის თავისუფლება შეზღუდული უფლებაა, მაგრამ არა მისი გამოვლინება – ამიტომ იგი თანაბარმნიშვნელოვანი უნდა იყოს სხვა უფლებებსა და მოვალეობებთან მიმართებაში. მართალია, ეს საქმე პოლონეთის კანონმდებლობასთან მიმართებაში, სავარაუდოდ, იგივენაირად ვერ გადაწყდებოდა, რადგან ის, პირიქით, ზედმეტად იცავს კანონიერი საფუძვლით უარის თქმის უფლებას, თუმცა, აღნიშნული კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან, მხარი დაუჭირონ ქალებს ამ პროცესში. ამას აჩვენებს საერთაშორისო სამართლის მისწრაფებაც აბორტის უფლებების დაცვის გაზრდისკენ. აქ პოლონეთი კვლავ არ ასრულებს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვალდებულებას. იგი ან საერთოდ არ იზიარებს მათ მიმართ გამოტანილ განაჩენს, ან განაჩენების საფუძველზე თავის კანონმდებლობას მომართავს სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამის ნაცვლად, როგორც დავინახეთ პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალმა უფრო მეტად განამტკიცა აბორტის ჩატარებაზე უარის თქმის უფლება. აღნიშნული პირდაპირ ეწინააღმდეგება საქმეზე – პ. და ს. (P & S) პოლონეთის წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენს და გრიმარკისა (Grimmark) და შტინის (Steen) საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პათოსს. როგორც ჩანს,

⁷¹ Commissioner for Human Rights of the Council of Europe, 'Submission by the Council of Europe Commissioner for Human Rights under Rule 9.4 of the Rules of the Committee of Ministers for the supervision of the execution of judgments and of the terms of friendly settlements in the cases of Tysięc v. Poland (application no. 5410/03, judgment of 20 March 2007); R. R. v. Poland (application no. 27617/04, judgment of 26 May 2011); P. and S. v. Poland (application no. 57375/08, judgment of 30 October 2012)' (Rule 9 Submission) (27 January 2020) CommDH(2020)3

⁷² *ibid* para 2

⁷³ Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (European Convention on Human Rights) (ECHR) articles 8 and 3

⁷⁴ Commissioner for Human Rights of the Council of Europe, Rule 9 Submission (no 70) para 4

⁷⁵ *ibid*

⁷⁶ P. and S. v. Poland, no. 57375/08 (ECtHR, 30 November 2012)

⁷⁷ Grimmark v. Sweden, 43726/17 (ECtHR, 11 February 2020)

სასამართლო ერთი მიმართულებით მიდის, ხოლო პოლონეთი კი – საერთოდ სხვაგან იყურება. დუნია მიატოვიჩი მის 2019 წლის მოხსენებაში ეწინააღმდეგება 1993 წლის აქტის უფრო მეტად გამკაცრებას. 2016 წელს მთავრის მიერ აბორტის შესახებ კანონის აკრძალვის მცდელობის საპასუხოდ მან პოლონეთი გააფრთხილა, რომ ამ ნაბიჯით პოლონეთი უფრო მეტად დაშორდებოდა „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონდებლობით ნაკისრ ვალდებულებებს“.⁷⁸

2016 წლის წარუმატებლობის მიუხედავად, მთავრობამ 2020 წელს წარმატებით გაიტანა რეფორმების კანონპროექტი პარლამენტში. პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო 1993 წლის აქტის მე-4(ა) მუხლის 1(2) პუნქტი, რადგან მიიჩნია, რომ „არასაკმარის დასაბუთებას შეიცავდა სხვა ღირებულებების, უფლებებისა და კონსტიტუციური თავისუფლებების დაცვის საჭიროებისთვის“, რათა გაემართლებინათ „ადამიანის სიცოცხლის უფლების კონსტიტუციური გარანტიების დარღვევა“.⁷⁹ შედეგად, უკანონოდ ცნეს დებულება, რომლითაც ქალებს აბორტის გაკეთების უფლება ეძლეოდათ, თუკი ნაყოფს აღენიშნებოდა მძიმე და შეუქცევადი დეფექტი ან დაავადება, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ნაყოფის სიცოცხლეს. ფაქტობრივად, პოლონელ ქალებს აბორტის გაკეთების უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე, ან არიან სქესობრივი ძალადობის მსხვერპლნი (ან ორსულობა არის ინცესტის შედეგი) და მოუწევთ მუცლად ატარონ ის ნაყოფი, რომელზეც მეცნიერების დასკვნა არსებობს, რომ შეუძლებელია მისი გადარჩენა. Independent-თან საუბრისას ანოტონია ლევონდოვსკამ განაცხადა, რომ ეს ქალების წამებას უტოლდება, რადგან „ქალები იძულებულნი არიან, გააჩინონ ნაყოფი, რომელიც იციან, რომ არ გადარჩება, ან დაიბადება თანდაყოლილი მძიმე დეფექტით, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გაყვება“.⁸⁰

პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით მცდარია მოსაზრება, რომ კონსტიტუციაში არ არსებობდა უფლება, რომელიც აღემატებოდა ჯერ არ დაბადებულთა უფლებებს. აქ შესაძლებელია დასახელდეს რამდენიმე უფლება, რომელიც ამ ვარაუდთან წინააღმდეგობაში მოდის. 68-ე მუხლი ადგენს, რომ ყველას აქვს საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის უფლება; 47-ე მუხლის მიხედვით გარანტირებულია „პირადი ცხოვრების საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვა“; 33-ე მუხლი თანაბარ უფლებებს ანიჭებს კაცებსა და ქალებს ნებისმიერ სფეროში.⁸¹ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მუხლები პირდაპირ არ ეხება აბორტს, ისინი უზრუნველყოფენ ქალთა ჯანმრთელობისა და თანასწორობის დაცვას კანონით განსაზღვრულ მრავალ სფეროში. გარდა ამისა, როგორც კომისარმა განაცხადა ქალთა ჯანმრთელობისა და თავისუფლების უფლებათა დაცვა მნიშვნელოვანია პოლონეთის საერთაშორისო ვალდებულებების თვალსაზრისით. უშუალოდ აბორტის თემას არც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია შეიცავს, თუმცა, მე-3 და მე-8 მუხლები გარკვეულ კუთხით მაინც უზრუნველყოფს ამ უფლების დაცვას. სტატიაში მოყვანილი საქმეები შეეხებოდა ამ მუხლების დარღვევას, მაგრამ მათი გამოყენება მოხდა ექსტრემალურ პირობებში და, შესაბამისად, ბუნდოვანი რჩება საკითხი, თუ რამდენად სრულყოფილად იცავს კონვენცია ამ უფლებას. თუმცა, რადგან პოლონეთი ამ მიმართულებით მეტად ჩამორჩება ევროპის საბჭოს უმეტეს ქვეყანას, რომელთა უმრავლესობა აბორტს დასაშვებად აღიარებს „მოთხოვნის“ შემთხვევაში⁸², ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეიძლება უფრო პროაქტიული იყოს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტის აღმოჩენის საქმეში. ის, როგორც წესი, ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას იძლევა სახელმწიფოებისთვის ისეთ საქმეებში, რომლებიც ეხება მათ მორალსა და ტრადიციებს, მაგრამ რადგან პოლონეთი არ იზიარებს სხვა წევრი ქვეყნების კონსენსუსს, იგი დისკრეციის ფარგლებში ვეღარ ექცევა. მომდევნო წლებში უნდა დავაკვირდეთ, თუ როგორ გამოიყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციას პოლონეთში არსებულ ახალ მდგომარეობასთან მიმართებაში, რათა შევძლოთ განვსაზღვროთ კონვენციით გარანტირებული დაცვის მასშტაბები ახალი სცენარის ფარგლებში.

2020 წლის ანგარიშში ევროპის საბჭოს კომისარმა დაადგინა, რომ პოლონეთში ადრე ჩატარებული აბორტების დაახლოებით 95% ექცეოდა მე-4(ა) მუხლის 1(2)-ლ პუნქტის მოქმედების ქვეშ,⁸³ რომელიც

⁷⁸ Commissioner for Human Rights of the Council of Europe, 2019 Report (no 51) para 86

⁷⁹ Wyrok [judgment] TK [Constitutional Tribunal] z [of] October. 22, 2020, K 1/20 (OTK ZU A/2021)

⁸⁰ Maya Oppenheim, 'Women's rights activist charged for taking part in Polish abortion protests' (Independent, 11 February 2021) <<https://www.independent.co.uk/news/world/europe/poland-abortion-protests-marta-lempart-b1800915.html>> accessed 12 February 2021

⁸¹ Konstytucja Rzeczypospolitej Polskiej z dnia 2 kwietnia 1997 r. [The Polish Constitution of 1997] sections 33, 47, 68, sec. 2 (Poland)

⁸² Exelgyn, 'European Data' (Abortreport.eu) <<https://abort-report.eu/europe/>> accessed 12 February 2021

⁸³ Commissioner for Human Rights of the Council of Europe, Rule 9 Submission (no 70) para 14

ახლა უკანონოდ არის ცნობილი. შესაბამისად, წინათ ჩატარებული აბორტების 5 პროცენტია ახალი სისტემის მიხედვით ნებადართული. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2020 წლამდე წელიწადში მხოლოდ დაახლოებით 1000 კანონიერი აბორტი კეთდებოდა, ხოლო ახლა მათი რიცხვი გაცილებით დაბალია – „ეს ნიშნავს, რომ პრაქტიკაში აბორტის თითქმის ყველა ფორმა აკრძალულია“.⁸⁴ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ პოლონეთში წელიწადში დაახლოებით 10,000-დან 15,000-მდე უკანონო აბორტი ტარდება, რაც, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება კანონმდებლობის გამკაცრების შემთხვევაში.⁸⁵ მიატოვირისა და ლევონდოვსკას მსგავსად ბევრი თვლის, რომ ახალი კანონები საფრთხეს უქმნის ქალების სიცოცხლეს. 2020 წლის რეფორმები არა მხოლოდ აიძულებს ქალებს საშინელი ორსულობის ატანას, არამედ ფაქტობრივად საფრთხეში აგდებს მათ სიცოცხლეს. ეს კი პოლონეთის მიერ ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრი ქალთა უფლებების დაცვის ვალდებულებების დარღვევის კიდევ ერთი მაგალითია. ევროპის საბჭოს მოხსენებაში „ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები ევროპაში“ ხაზგასმულია ქალთა ჯანმრთელობისა და რეპროდუქციული უფლებების უზრუნველსაყოფად უსაფრთხო აბორტის სერვისებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა, სადაც აღნიშნულია, რომ ამ უფლების შეზღუდვა იწვევს დედათა სიკვდილიანობის მაღალ მაჩვენებელს და საფრთხეს უქმნის ქალთა სიცოცხლეს.⁸⁶ პოლონეთი მოხვდა იმ 8 ქვეყანას შორის, რომლებსაც ანგარიშის გამოქვეყნების დროისთვის აბორტის მარეგულირებელი კანონმდებლობა სრულიად არაადეკვატური აქვს და ქალებს იძულებულს ხდის, იმშობიარონ მათი ნების საწინააღმდეგოდ, ან მიმართონ უკანონო აბორტებს. მათ, ვისაც ფინანსური მდგომარეობა ხელს უწყობს და მხარდაჭერაც აქვთ, აბორტის გაკეთება სხვა ქვეყანაში უსაფრთხოდ შეუძლიათ, მაგრამ დანარჩენი ქალებისთვის არსებული გზები ძალიან სახიფათოა. ნებისმიერ შემთხვევაში აბორტის შემდგომი სათანადო ზედამხედველობა და მოვლა, ასევე, იშვიათობაა.⁸⁷

PiS-მა ქალთა უფლებები და აბორტი ძირითად პრიორიტეტად გამოარჩია, რადგან კარგად ერგება „ჩვენ მათ წინააღმდეგ“ დოქტრინასა და „ანტიგენდერული იდეოლოგიის“ რიტორიკას. იგი ეფუძნება ნაციონალისტურ იდეალებს და განსაზღვრავს პოლონურ ღირებულებებს ლიბერალური ევროპული დღის წესრიგის საწინააღმდეგოდ. ეს კიდევ ერთი დემონსტრირებაა იმისა, რომ PiS-ი ეფექტურად იყენებს პოპულისტურ ტექნიკას ავტორიტარული პოლიტიკის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. რეფორმები, ასევე, მიმართულია კონსერვატორული ამომრჩევლებისა და კათოლიკური ეკლესიის გულის მოგებისკენ. ეკლესია საკმაოდ დიდი გავლენის მქონე ინსტიტუტია პოლონეთში, რომლის მიმდევარი არის მოსახლეობის უმრავლესობა. შესაბამისად, მთავრობისთვის მნიშვნელოვანია ეკლესიასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება. პოლონეთში კანონის უზენაესობის ჩამოშლამ, ასევე, ხელი შეუწყო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის განმტკიცებას. აღნიშნული ვითარება ორივე მხარისთვის მომგებიანია, რადგან ეკლესიას მეტი გავლენა აქვს პოლიტიკის შემუშავების პროცესზე, ხოლო მთავრობისთვის მათ მიერ ჩატარებული პოლიტიკის გამართლების ძალიან კარგი ბერკეტია. ეს კი, სავარაუდოდ, „კოვიდ-ეპოქის სტანდარტული არალიბერალურ-პოპულისტური ხრიკია“ – გამოიყენონ რელიგია თავდაცვის ან თავის გამართლების მიზნით.⁸⁸

V. დასკვნა

უდავოა, რომ პოლონეთი ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს ვერც ერთ დონეზე ვერ ასრულებს. აღმასრულებელი ხელისუფლება აქტიურად მუშაობს სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ, რათა შეარყიოს მისი დამოუკიდებლობა და ეფექტურობა; და, როგორც ჩანს, PiS მის მიერ არჩეულ კურსს უახლოეს მომავალშიც გაყვება. პოლონეთი, რა თქმა უნდა მხოლოდ საკუთარი ნებით ვერ უგულბებლყოფს მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებებს; პოლონეთში მივლენ იქნა ევროპის საბჭოს კომისარი კანონის უზენაესობისთვის მიყენებული ზიანის გასაანალიზებლად,

⁸⁴ Karolina Wigura and Jarosław Kuisz, 'Poland's abortion ban is a cynical attempt to exploit religion by a failing leader' (Guardian, 28 October 2020) <<https://www.theguardian.com/commentisfree/2020/oct/28/poland-abortion-ban-kaczynski-catholic-church-protests>> accessed 12 February 2021

⁸⁵ BBC, 'Poland's tussle over abortion ban' (BBC, 6 October 2016) <<https://www.bbc.co.uk/news/world-europe-37449903>> accessed 12 February 2021

⁸⁶ Commissioner for Human Rights of the Council of Europe, 'Women's sexual and reproductive health and rights in Europe' Issue Paper (December 2017) section 1.6.1

⁸⁷ *ibid*

⁸⁸ Wigura and Kuisz (no 83)

რომლის ანგარიშიც ყოვლისმომცველია და მიმოიხილავს ამ მიმართულებით არსებულ ყველა შემთხვევას. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ხელისუფლება თავად უქმნის საფრხეს ადამიანთა უფლებებს. ქალთა უფლებების საკითხი რომ მოვიყვანოთ მაგალითად, დავინახავთ, რომ PiS-მა ეტაპობრივად შეამცირა ქალებისთვის კანონიერი აბორტის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და უპირატესად აღიარა ტრადიციები და რელიგიური ღირებულებები, რითაც საფრთხე შეუქმნა არა მხოლოდ ქალების პირად ცხოვრებას, არამედ მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. აბორტის, როგორც ადამიანის უფლებათა სინეკდოკის გამოყენებამ აჩვენა, რომ აშკარა იყო ამ უფლებების დაცვის არასრულყოფილება, რასაც, ასევე, ემატებოდა თავად ამ უფლების რთული ბუნება და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ნაკლებობა. თუმცა, ის მაინც იძლევა მტკიცებულებებს PiS-ის მიერ განხორციელებული დეროგაციისა და პოლონეთში მიმდინარე თანამედროვე მოვლენების შეფასებისთვის.

კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებებისთვის შექმნილი საფრთხეების ანალიზმა ნათლად დაგვანახა მათ შორის არსებული კავშირის სავალალო სურათი, რომლის შემოქმედიც პოლონეთის მთავრობაა მის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების გამო. პოპულისტური პარტია PiS-ი ცდილობს, მოსპოს პოლონეთში დემოკრატია, რის მისაღწევად სისტემური გეგმაც კი შეიმუშავა და ამავედროულად, ინარჩუნებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერას. სასამართლოს მიერ დაცვის მექანიზმის ჩამოშლამ PiS-ს საშუალება მისცა, მზარდი ავტორიტარული გავლენა დაემყარებინა ქვეყანაში, რამაც მწვანე შუქი აუნთო ადამიანის უფლებების მასობრივ შეზღუდვებზე, როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო დონეზე. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საკონსტიტუციო ტრიბუნალის რეფორმები, რამაც აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევა მოახდინა მათ საქმიანობაში, შედეგად გამოიწვია 'ცნობიერის' მუხლის გაფართოება და აბორტის შესახებ ნორმების გამკაცრება.

PiS-მა ასეთივე წარმატებით გამოიყენა დემონიზაციის პოპულისტური ტექნიკა სასამართლო სისტემისა და მოქმედი მოსამართლეების მიმართ ნდობის შესამცირებლად და, ასევე, გარკვეული პირების ავტორიტეტების შესარყევად იმ საფუძლით, რომ ისინი საფრთხეს უქმნიან პოლონეთის ტრადიციულ ღირებულებებს. ეს გზა ეფექტური აღმოჩნდა ევროპის საბჭოს, როგორც საფრთხის შემცველი ინსტიტუტის წარმოჩენისთვის, რომელიც თითქოს მის მიერ დაწესებული ვალდებულებებით საფრთხეს უქმნის პოლონეთის სახელმწიფოს. ამ გზით მთავრობამ მოახერხა მისი მანკიერი პოლიტიკის შენიღბვა და მხარდაჭერის შენარჩუნება, რადგან ქაოსისა და ცვლილებების სამყაროში თავს სტაბილურობისა და ტრადიციის დამცველ შუქურად წარმოაჩენდა.

პოლონეთის, როგორც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს ვალდებულებების ანალიზმა დაგვანახა, თუ რამდენად გადაუხვია პოლონეთმა მის ლიბერალურ-დემოკრატიულ გზას მას შემდეგ, რაც 1991 წელს პირველად შეუერთდა ევროპის საბჭოს და, მეტნაკლებად, გვადლევს PiS-ის სამომავლო გეგმის სურათს. ევროპის საბჭოს ღირებულებებზე თავდასხმა, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, მოხდა ბოლო თვეების განმავლობაში და ამიტომ, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობისთვის მუდმივად საფრთხის შექმნა ცხადყოფს, რომ PiS-ს არ დაუსრულებია თავისი რეფორმები პოლონეთში და აგრძელებს ნაკისრი ვალდებულებების უგულვებელყოფას. უნგრეთის მსგავსად, მათაც მრავალ ავტოკრატიულ ტექნიკას მიმართეს, რითაც ადგილი დაიმკვიდრეს ევროპის საბჭოს არასასურველ სახელმწიფოთა სიაში. აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ პოლონეთი მხოლოდ ფორმალურად რჩება ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო და არ იზიარებს მის მთავარ ღირებულებებს: დემოკრაციას, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვას.

აღნიშნული საბოლოოდ ბადებს ეჭვს იმის შესახებ, თუ რა ბედი ელის ევროპის საბჭოს რიგებში პოლონეთის სტატუსს სამომავლოდ. თუ სახელმწიფო არ ასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, ევროპის საბჭო უფლებამოსილია, დაუნესოს ასეთ სახელმწიფოს ჯარიმა ან ამორიცხოს იგი წევრობიდან. როგორც დავინახეთ, ევროპის საბჭოს დებულება აძლევს მას შესაძლებლობას, ჩამოართვას სახელმწიფოებს ხმის უფლება, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში მოითხოვოს წევრობის სტატუსის შეწყვეტა. პოლონეთის სიტუაცია ზუსტად იძლევა მისი გამოყენების საფუძველს, რადგან მუდმივად არღვევს დებულების მე-3 მუხლის მოთხოვნებს. ევროპის საბჭო განსაკუთრებულად აკვირდებოდა პოლონეთს, მათ შორის, კომისრის ვიზიტით, გაუთავებელი მოხსენებებით და მონიტორინგის კომიტეტის შექმნით, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ. აშკარაა, რომ ინსტიტუტში ისეთი სახელმწიფოს არსებობა, რომელიც გამუდმებით უხეშად არღვევს ნაკისრ ვალდებულებებს, კარგად არ აისახება ინსტიტუტის ღირებულებების შენარჩუნებაზე სხვა წევრ სახელმწიფოთათვის. ევროპის საბჭოდან აქამდე არც

ერთი სახელმწიფო არ გაუძევებიათ, ამიტომ ამ სადამსჯელო ღონისძიების გამოყენება ნამდვილად ისტორიული მოვლენა იქნება. პოლონეთისთვის კი, ეს გახდება დასავლურ დემოკრატიასა და ღირებულებებთან დამშვიდობების დასაწყისი. თუმცა, რატომღაც, ეს ფაქტი პოლონეთის მთავრობას საერთოდ არ ანუხებს და უფრო მეტიც, შესაძლოა, მათი ავტორიტარული პოპულისტური დღის წესრიგის გასამართლებლად კარგ საბაბსაც ქმნიდეს.

ბიბლიოგრაფია

- The Act on Counteracting Domestic Violence 2005 (PL)
- Ash L, 'Inside Poland's LGBT-free zones' (BBC News, 21 September 2020) <<https://www.bbc.co.uk/news/stories-54191344>> accessed 20 January 2021
- BBC, 'Poland's tussle over abortion ban' (BBC, 6 October 2016) <<https://www.bbc.co.uk/news/world-europe-37449903>> accessed 12 February 2021
- Bretan J, 'New domestic violence law in Poland to immediately remove perpetrators from the home' (Notes from Poland, 4 May 2020) <<https://notesfrompoland.com/2020/05/04/new-domestic-violence-law-in-poland-to-immediately-remove-perpetrators-from-the-home/>> accessed 4 December 2020
- The Commissioner for Human Rights of the Council of Europe, 'Women's sexual and reproductive health and rights in Europe' Issue Paper (December 2017)
- 'Report Following Her Visit to Poland from 11 to 15 March 2019' (28 June 2019) CommDH(2019)17
- 'Submission by the Council of Europe Commissioner for Human Rights under Rule 94 of the Rules of the Committee of Ministers for the supervision of the execution of judgments and of the terms of friendly settlements in the cases of *Tysi c v. Poland* (application no. 5410/03, judgment of 20 March 2007); *R. R. v. Poland* (application no. 27617/04, judgment of 26 May 2011); *P. and S. v. Poland* (application no. 57375/08, judgment of 30 October 2012)' (Rule 9 Submission) (27 January 2020) CommDH(2020)3
- Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (European Convention on Human Rights) (ECHR) articles 8 and 3
- The Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence Against Women and Domestic Violence (adopted 11 May 2011 entered into force 1 August 2014) CETS No.210 (Istanbul Convention)
- Council of Europe, 'Poland should not withdraw from the Istanbul Convention, says Secretary General' (Newsroom, 26 July 2020) <<https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/-/poland-should-not-withdraw-from-the-istanbul-convention-says-secretary-general>> accessed 22 November 2020
- '70 years of the European Convention on Human Rights' (European Court of Human Rights) <<https://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=events/70yearsConvention&c=>> accessed 5 January 2021
- Dunja Mijatovi c to Tomasz Grodzki (Letter) (9 January 2020)
- (@ComissionerHR), 'Today's Constitutional Court ruling creates a worrying gap in the functioning of the Ombudsman institution in-btw terms and the protection of #humanrights in #Poland. A successor must urgently be selected fully respecting the Polish Constitution and law & international standards.' (15 April 2021) <<https://twitter.com/CommissionerHR/status/1382604164006604808>> accessed 10 May 2021
- DW, 'Poland elects controversial judges to constitutional court' (Dw.com, 22 November 2019) <<https://p.dw.com/p/3TZRL>> accessed 5 January 2021
- European Commission, 'Poland Population: Demographic Situation, Languages and Religions' (EURYDICE, 4 March 2021) <https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/population-demographic-situation-languages-and-religions-56_en> accessed 4 December 2020
- European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), 'Rule of Law Checklist' (18 March 2016) CDL-AD(2016)007rev
- 'Poland Opinion on the Act on the Constitutional Tribunal' (14 October 2016) CDL-AD(2016)026
- Exelgyn, 'European Data' (Abortreport.eu) <<https://abort-report.eu/europe/>> accessed 12 February 2021
- Fomina J and Kucharczyk J, , 'The Specter Haunting Europe: Populism and Protest in Poland' (2016) 27(4) Journal of Democracy <<https://muse.jhu.edu/article/633752>> accessed 22 November 2020

- Grans L, 'The Istanbul Convention and the Positive Obligation to Prevent Violence' (2018) 18(1) Human Rights Law Review <<https://academic.oup.com/hrlr/article/18/1/133/4857380?login=true>> accessed 4 December 2020
- Grimmark v Sweden**, 43726/17 (ECtHR, 11 February 2020)
- Gwiazda A, 'Right-wing populism and feminist politics: The case of Law and Justice in Poland' (2020) 1(16) International Political Science Review <<https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0192512120948917>> accessed 23 November 2020
- Halmai G and Reconnect Europe, 'Democratic Backsliding in the United States and Europe: Causes, Consequences, and Prospects' Webinar (12 May 2021)
- Jałoszewski M, 'PiS' night-time attack on the independence of the courts in Poland and on the CJEU judgment. The new bill, point by point' (Rule of Law, 13 December 2019) <<https://ruleoflaw.pl/pis-night-time-attack-on-the-independence-of-the-courts-in-poland-and-on-the-cjeu-judgment-the-new-bill-point-by-point/>> accessed 10 January 2021
- Joined Cases C585/18A.K. v *Krajowa Rada Sądownictwa* and C624/18 and C625/18 *CP and DO v Sąd Najwyższy* [2019] C- 27/6, Opinion of Advocate General Tanchev, para 171
- Konstytucja Rzeczypospolitej Polskiej z dnia 2 kwietnia 1997 r. [The Polish Constitution of 1997] sections 33, 47, 68, sec. 2 (Poland)
- Law and Justice, 'The government carries out tasks aimed at preventing violence' (Law and Justice, 30 July 2020) <<http://pis.org.pl/aktualnosci/rzad-realizuje-zadania-majace-na-celu-zapobieganie-przemocy>> accessed 4 December 2020
- Matczak M, 'Poland's Rule of Law Crisis: Some Thoughts' (2019) 11 Hague Journal on the Rule of Law <<https://link.springer.com/article/10.1007/s40803-019-00117-y>> accessed 22 November 2020
- Ministry of Justice, 'A groundbreaking law to protect victims of domestic violence in Poland' (Republic of Poland, 29 November 2020) <<https://www.gov.pl/web/justice/a-groundbreaking-law-to-protect-victims-of-domestic-violence-in-poland>> accessed 4 December 2020
- Norris P, 'It's Not Just Trump. Authoritarian Populism is Rising Across the West. Here's Why' *The Washington Post* (New York, 11 March 2016) <<https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2016/03/11/its-not-just-trump-authoritarian-populism-is-rising-across-the-west-heres-why/>> accessed 2 December 2020
- Oppenheim M, 'Women's rights activist charged for taking part in Polish abortion protests' (Independent, 11 February 2021) <<https://www.independent.co.uk/news/world/europe/poland-abortion-protests-marta-lempart-b1800915.html>> accessed 12 February 2021
- P. and S. v Poland**, no. 57375/08 (ECtHR, 30 November 2012)
- Parliamentary Assembly of the Council of Europe, 'The Functioning of Democratic Institutions in Poland' (28 January 2020) Resolution 2316
- Parliamentary Assembly of the Council of Europe (Committee on Legal Affairs and Human Rights), 'Venice Commission's 'Rule of Law Checklist'' Report (17 July 2017) Doc. 14387
- Pedziwiatr K, 'The new Polish migration policy – false start' (Open Democracy, 19 August 2019) <<https://www.opendemocracy.net/en/can-europe-make-it/the-new-polish-migration-policy-false-start/>> accessed 20 January 2021
- Sadurski W, *Poland's Constitutional Breakdown* (Oxford Scholarship Online 2019)
- Santora M, 'Poland Considers Leaving Treaty on Domestic Violence, Spurring Outcry' *The Washington Post* (New York, 27 July 2020) <<https://www.nytimes.com/2020/07/27/world/europe/poland-domestic-violence-treaty.html>> accessed 2 December 2020
- Statute of the Council of Europe (adopted 1949) CETS No.001
- Topidi K, 'Religious Freedom, National Identity, and the Polish Catholic Church: Converging Visions of Nation and God' (2019) 10 European Centre for Minority Issues <<https://www.mdpi.com/journal/religions>> accessed 1 July 2022
- Ustawa z dnia 5 grudnia 1996 r. o zawodach lekarza i lekarza dentystry [The Doctor and Dentist Professions Act of 1996] (Dz.U. 1997 Nr 28 Poz. 152)
- Ustawa z dnia 7 stycznia 1993 r. o planowaniu rodziny, ochronie płodu ludzkiego i warunkach dopuszczalności przerywania ciąży. [The Family Planning Human Embryo Protection and Conditions of Permissibility of Abortion Act of 1993] (Dz.U. 1993 Nr 17 Poz. 78)
- Walsh A, 'What are Poland's controversial judicial reforms?' (Dw.com, 5 November 2019) <<https://www.dw.com/en/what-are-polands-controversial-judicial-reforms/a-51121696>> accessed 5 January 2021

Wigura K and Kuisz J, 'Poland's abortion ban is a cynical attempt to exploit religion by a failing leader' (Guardian, 28 October 2020) <<https://www.theguardian.com/commentisfree/2020/oct/28/poland-abortion-ban-kaczynski-catholic-church-protests>> accessed 12 February 2021

Wojnicka K, 'Masculist Groups in Poland: Aids of Mainstream Antifeminism' (2016) 5(2) *International J for Crime, Justice, and Social Democracy* <<https://www.crimejusticejournal.com/article/view/802> > accessed 22 November 2020

Wyrok [judgment] TK [Constitutional Tribunal] z [of] October. 7, 2015, K 12/14 (OTK ZU 9A/2015)

--April. 15, 2021, K 20/20

Zalan E, 'Polish Court Pushes out Critical Ombudsman' *EU Observer* (Brussels, 16 April 2021) <<https://euobserver.com/democracy/151564>> accessed 10 May 2021

Zinonos P, 'The independence of the disciplinary chamber of the Polish Supreme Court or how to forget about discipline' (*European Law Blog*, 2 December 2019) <<https://europeanlawblog.eu/2019/12/02/the-independence-of-the-disciplinary-chamber-of-the-polish-supreme-court-or-how-to-forget-about-discipline/>> accessed 5 January 2021